ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გმირ კურსანტთა, ქერჩის და თიანეთის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიისათვის „ჩარჩო გეგმის“ შერჩევის თაობაზე

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი 21.07.2015 წელი

სხდომა იმართება "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად, №1659 საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებით.

სხდომას ესწრებიან: ნინო ღოღობერიძე (კომისიის თავმჯდომარე), ოთარ ნემსაძე (კომისიის წევრი), ნინო გვენცაძე (კომისიის წევრი), ირაკლი მურღულია (კომისიის წევრი).

სხდომას არ ესწრება: გოჩა ბაბუნაშვილი (კომისიის წევრი).

სხდომის თავმჯდომარე: ნინო ღოღობერიძე
სხდომის მდივანი: თამთა ლომიძე

დღის წესრიგი: ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გმირ კურსანტთა, ქერჩის და თიანეთის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის „ჩარჩო გეგმაზე“ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღება.

1. შპს „არქიტექტურული ბიუროს“ საკონკურსო წინადადება.

საკონკურსო წინადადებით ვერ დგინდება არსებული ტერიტორიის შემდგომი სივრცით-გეგმარებითი განვითარების კონცეფცია. ჩარჩო-გეგმა ძირითადად მორგებულია არსებული სიტუაციის მოწესრიგებაზე (მიწის ნაკვეთების საზღვრების ცვლილება) გამართული სატრანსპორტო ქსელის ჩვენებით.

2. შპს „თრიჰაუსის“ საკონკურსო წინადადება.

საკონკურსო წინადადებაში კარგად არის წარმოჩენილი ტერიტორიის წინასაპროექტო კვლევა. ნათლად ჩანს მისი ქალაქგეგმარებითად განვითარების კონცეფცია. გათვალისწინებულია საპროექტო სატრანსპორტო ქსელის ფარგლებში გრგ-ს არეალები, რომლის მიხედვითაც შედარებით მარტივად ხდება ტერიტორიის სამშენებლო განვითარების მართვა და საჭიროებისამებრ არსებული მდგომარეობით მიწის ნაკვეთების გადაგეგმარება.

3. შპს „ეი-დი-ეს“-ის საკონკურსო წინადადება.

საკონკურსო წინადადებით საერთოდ არ არის გათვალისწინებული არსებული მდგომარეობა, რაც ხელს შეუშლის ტერიტორიის შემდგომ მართვას, როგორც გეგმარებითად, ისე სამშენებლოდ განვითარებისთვის. ამასთან, დაგეგმილია ტერიტორიის აქტიური ინტენსივობით განვითარება, რაც შესაძლებელია ვერ იქნეს უზრუნველყოფილი წარმოდგენილი სატრანსპორტო სქემით.

საკონკურსო კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა გამარჯვებულად ცნობილი იქნას შპს „თრიჰაუსის“ საკონკურსო წინადადება.

ნინო ღოღობერიძე (კომისიის თავმჯდომარე) _____

ოთარ ნემსაძე (კომისიის წევრი) _____

ნინო გვენცაძე (კომისიის წევრი) _____

ირაკლი მურღულია (კომისიის წევრი) _____

თამთა ლომიძე (სხდომის მდივანი) _____